პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 თებერვალი კვირა 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 44 (14954)

დამკვრელური შრომის ვარსკვლავი

● ქუთაისი. (საკ. კორ.). ქვის დამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა დაკვეთები და მეენერგეს — ენერგეტიკა წელს, იანვარში 780 კვადრატული მეტრი გრანიტის ფილა გაუგზავნა. მოსპორტეთებელი ფილები დიდი რაოდენობით იგზავნება მოსკოვის მაღლივი შენობებისა და თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობებზე.

ქვის დამამუშავებლებმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების იანვრის დავალება 107 პროცენტით შეასრულეს, ბოლო რეალიზაციის მოცულობისა — 105 პროცენტით. ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილებაა პირველი კვარტალის დავალება 25 მარტისათვის გაანალდლოს.

● ბათუმი. (საკ. კორ.). მსოფლიოს ორ ათეულზე მეტი ქვეყანა იღებს ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქციას — სხვადასხვა ტიპის ელექტროურიკებს. ახლა ისინი მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას.

წელს ქარხანა თურქეთისა და ირანის სავაჭრო ფირმებს პირველად გაუგზავნის ელექტროსაწვერებს, მათ უკვე გამოგზავნეს მოთხოვნა ბათუმურ მარქანებზე. ამჟამად ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა 7 სახის ელექტროურიკასა და საწვეარს უშვებს. საწარმოს კოლექტივმა იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. უკვეესად შრომობს თებერვალშიც.

ადამიანის საკეთილდღეოდ

ჩვენ ამდენი სიძნელე დაძლია, რამდენი ზღუდე აიღო, რამდენი მიჯნა გადალახა ჩვენმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან. ახლა კი მთელი თავისი სიდიადით გვიდგას თვალწინ შედეგები ჭეშმარიტად გიგანტური ბრძოლისა და უმაგალითო სოციალისტური გარდაქმნებისა, რომლებიც განვლილ ხუთწლედების მანძილზე მოახდინა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ათეული წლების მანძილზე პარტია, მთავრობა, მთელი სახელმწიფო ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება, აემაღლებინათ საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე, გაუუმჯობესებინათ მისი კეთილდღეობა.

ცნობილია, რომ ხალხის კეთილდღეობის ზრდა სოციალიზმისა და კომუნიზმის განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა, მისი მთავარი ნიშანია. ამიტომ ჩვენი პარტიის, სახელმწიფოს მოღვაწეობის შინაარსს მთლიანად განსაზღვრავს ზრუნვა ადამიანებზე, მათს სიკეთესა და ბედნიერებაზე, მომავალზე. პარტიისა და მთავრობის ეს უდიდესი ზრუნვა ნათლად ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენს თვალწინ, იგი იგრძნობა ყოველი საბჭოთა ადამიანის ოჯახში, ცხოვრების ყველა სფეროში.

კომუნისტური პარტიის მთელ საქმიანობაში წინა პლანზე მუდამ არის მისი საპროგრამო მიზანი, რომელიც ხორცშესხმულია „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“. სწორედ ამ მაღალი მიზნით არის გამსჭვალული ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტიც, რომელსაც დიდი შრომითი ამაგავლობით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები. ამ პროექტით გათვალისწინებულია ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფენ ხალხის ცხოვრების დონის ახალ, არსებით ამაღლებას.

ჩვენი ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს სასაქონლო რესურსების გადიდება, ხალხისათვის საჭირო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი საქონლით ბაზრის სულ უფრო სრული მომარაგება. დირექტივების პროექტი ითვალისწინებს სახალხო მომხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილობის უზრუნველყოფას, ცალკეულ სახეობათა საქონლის ფასების შემცირებას სასაქონლო რესურსების დაგროვების კვალობაზე, მოსახლეობის შემოსავლის ზრდისა და მოხმარების საგნების წარმოების გაფართოების შესაბამისად საცალო საქონელბრუნვის გადიდებას 1,4-ჯერ.

დიდი სამუშაოები განხორციელდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. ხუთწლედში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდება 565-575 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. კიდევ უფრო განვითარდება სანბინაო-სამშენებლო კოოპერაცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სანბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. პროექტი ითვალისწინებს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებას.

როგორც პროექტშია აღნიშნული ძირითადად დამთავრდება ქალაქის მოსახლეობის უზრუნველყოფა ცენტრალიზებული წყალმომარაგებით, ხუთწლედულში აშენდება წყალსადენები 700 ქალაქსა და დაბაში. გადიდდება სანბინაო ფონდის გაზიფიკაცია, ელექტროენერგიის გამოყენება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და ა. შ.

ჩვენი პარტიული, სამეურნეო ორგანოები, მთელი ხალხი გაშლილი ფრონტით იშრომებს დასახლებული პუნქტების და გარეუბნის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, გაშენდება ახალი ტყის მასივები, აიგება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გასაწმენდი ნაგებობანი, გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარები.

დირექტივების პროექტით დიდი მნიშვნელობის ღონისძიებანი განხორციელდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, განსრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოფილი იქნება მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და ორგანიზებული დასვენების განვითარება, ინვალიდთა და ძრძა მოხუცთა მომსახურების გაუმჯობესება.

საბჭოთა ადამიანები შეეჩვივნენ იმ დიდ მზრუნველობას, რასაც სახელმწიფო იჩენს მათდამი — საბჭოთა მოქალაქეებისადმი დაბადებიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში. უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება, პენსიების, დახმარების გაცემა და სხვა სახეობის სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა, სტიპენდიების გაცემა, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო ან შეღავათიანი საგზურების გაცემა, შვებულების ანაზღაურება, საბავშვო ბაღების და ბაგების შენახვა — ყოველივე ეს ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება და გაუმჯობესდება.

გასული ხუთწლედის ამოცანათა შესრულების შედეგები იმაზე მეტყველებენ, რომ საქართველოს მშრომელები ამჟერადაც ენერგიული შრომით ასახელებენ დედასამშობლოს, ამრავლებენ წარმატებებს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სოციალისტური წარმოების მიზანი და ამოცანაა ხალხის კეთილდღეობა, ადამიანის ბედნიერება. ამაზე მეტყველებენ პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში დასახული გრანდიოზული ამოცანები. ისინი ჩვენში სოციალისტური გარდაქმნების რეალური შედეგების მკაფიო მაგალითია.

ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდის მაჩვენებლები ზღვარი როდია. საბჭოთა ხალხის შრომითი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში, ახალი ხუთწლედის ამოცანების შესრულება შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ უფრო მნიშვნელოვნად გადიდდეს მშრომელთა რეალური შემოსავალი, მათი კეთილდღეობა. ამ დავალებათა შესრულების წარმატება დამოკიდებულია ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მოქნილ მუშაობაზე, თვითეულ ჩვენგანზე — მუშაზე, კოლმეურნეზე, მოსამსახურეზე. რაც უკეთ იმუშავებს თვითეული ჩვენგანი თავის უბანზე, რაც უფრო მეტად გადააჭარბებს წარმოების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის ამაღლების გეგმებს, მით უფრო მეტი დამატებითი რესურსები იქნება საბჭოთა სახელმწიფოს განკარგულებაში ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ენერგიული შრომით უპასუხებენ პარტიის, სახელმწიფოს ზრუნვას, თავდადებით იბრძოლებენ ხუთწლედის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი მიზანი — ხალხის კეთილდღეობის კიდევ უფრო ამაღლებისათვის ბრძოლაში წარმატებით ისახავს ხორცს პარტიის დიადი ლოზუნგი — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატები

ეკატერინე თვალიაშვილი,
ზორის რაიონის ჭარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

დიდი ხანია ბრიგადირად ჭიშაობ ზორის რაიონის ჭარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში. წლების მანძილზე მოპოვებული წარმატებებისათვის მომანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ბრიგადამ მერვე ხუთწლიანი გეგმა 147 პროცენტით შეასრულა.

გავეცანი რა მშობლიური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს, მასში დავინახე საბჭოთა ხალხის წინსვლის დიადი პერსპექტივები. ახალ ხუთწლედში დასახული ამოცანების შესრულებაში ჩემს წვლილსაც შევიტან. ვალდებულებას ვკისრულობ წელს ბრიგადის 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 80 ცენტნერი ხილი ნაცვლად 65 ცენტნერისა

ვალერიან ხუნაშვილი,
ხაბარეთის რაიონის კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა კოლმეურნეობამ. შარშან 80 ჰექტარზე მიღებულ იქნა 5.620 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 3.300 ცენტნერისა.

ახლაც კაკაბეთელი კოლმეურნეები ენერგიულად შრომობენ უხვი მოსავლის მიღებისათვის. ისინი გულდასმით გაეცნენ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს და დასახეს თავიანთი სამოქმედო პროგრამა ახალ ხუთწლედში. ჩვენი ვალდებულებაა, რომ წელს ჰექტარიანს მივიღეთ 5.700 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად შარშან მიღებული 5.620 ცენტნერისა, ხუთწლედის ბოლოსათვის კი მივიღოთ 6.000 ცენტნერი ყურძენი.

სოფიო ქაზამბაკ,
ხოხუმის № 11 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ახალ ხუთწლედში მოსახლეობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას მაღალი ხარისხის ტანსაცმლით, განსაკუთრებით უნდა გადიდდეს საბავშვო ასორტიმენტის ნაწარმის გამოშვება. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ჩაწერილი ეს სიტყვები ჩვენ, სოხუმელ მკერავებსაც ბევრს გვაფიქრებს. პირადად მე, როცა ახალი ხუთწლედის დირექტივებს გავეცანი, გადავწყვიტე კიდევ უფრო რაციონალურად გამოვიყენო სამუშაო დრო და ამ გზით მივაღწიო შრომის ნაყოფიერების ზრდას. შევადგინე მიმდინარე წლის გეგმა, რომელიც ყოველთვიური ბებმების 120-130 პროცენტით გადაჭარბებას ითვალისწინებს. ჩემი პირობაა წლიური დავალება ორი თვით ადრე შეასრულო.

საქალაქო საბჭოს ცნობა

პროგრამა შესრულებულია

● საბჭოთა „ლუნოხოდ-1“ ავტომატური აპარატის მუშაობის პროგრამა მთლიანად შესრულდა

● ექსპერიმენტები წვიმების ზღვაში გრძელდება

საბჭოთა „ლუნოხოდ-1“ ავტომატურმა აპარატმა, რომელიც 1970 წლის 17 ნოემბრის დაჯდა მთვარეზე, მთვარის ზედაპირზე დაგეგმილი სამი თვის მუშაობის პროგრამა მთლიანად შეასრულა. გადაწყდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანები, როგორიც არის კოსმოსური რენტგენული გამოსხივებისა და რადიაციული ვითარების შესწავლა, მთვარის ვრცელი რაიონის სხვადასხვა უბნების გრუნტის ქიმიური შედგენილობისა და ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებელთა კვლევა, მთვარის ზედაპირის მიკრო და მაკრორელიეფის, მთვარის ლაზერული ლოკაციის შესწავლა და დასერილ ადგილას მოძრაობის დროს ხანგრძლივი მუშაობის რთულ პირობებში ავტომატური სატრანსპორტო სისტემის სვლის თვისებების დამუშავება.

1970 წლის 17 ნოემბრიდან 1971 წლის 19 თებერვლამდე მთვარემავლოთან მოეწყო კავშირის 63 სეანსი, რომელთა დროს განხორციელდა მოძრაობის მართვის, საბორტო სისტემების მუშაობისადმი კონტროლის, დედამიწაზე სამეცნიერო ინფორმაციის დიდი მოცულობის გადმოცემის მრავალფეროვანი ოპერაციები.

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს წარმატებით შესრულებამ, მათ შორის „ლუნა-17“ ავტომატური სადგურის ფრენამ, მთვარის ზედაპირზე რბილად დაჯდომამ წვიმების ზღვის ფენის გათვალისწინებულ რაიონში, მთვარემავლის ჩასვლამ დასაჯდომი ბაქნიდან, აჩრეული მარწრუტით მისი ფუნქციონირებისა და მოძრაობის უზრუნველყოფამ, ყველა სამეცნიერო ხელსაწყოს ეფექტიანმა მუშაობამ დაადასტურა, რომ სწორია მიღებული საინჟინრო გადაწყვეტანი და მაღალია მართვისა და დაკვირვების კონსტრუქციის, საბორტო სისტემებისა და მიწისზედა საშუალებების ყველა ელემენტების საექსპლოატაციო საიმედოობა.

ხანგრძლივი და ექსპერიმენტებით აღსავსე მუშაობის პროცესში „ლუნოხოდ-1“ აპარატმა ცხადყო, თუ რაოდენ დიდი შესაძლებლობანი აქვს ავტომატურ მოძრავ საშუალებებს მთვარისა და პლანეტების შესასწავლად.

ოთხ მთვარის დღეში თვითმავალმა ლაბორატორიამ გაიარა 5.228 მეტრი. მთვარემავლის კონსტრუქციები და სისტემები კარგად იტანდნენ მნიშვნელოვან ტემპერატურულ ცვლილებებს. ხელსაწყოთა ნაკვეთურში უცვლელი იყო გაზის გარემოს გათვალისწინებული პარამეტრები: ტემპერატურა — პლუს 10-დან პლუს 30 გრადუსამდე ცელსიუსით, წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 735-დან 770 მილიმეტრამდე.

მანევრირებისა და დაბრკოლებათა გავლის დროს წარმატებით მუშაობდნენ დედამიწიდან თვითმავალი აპარატის ხავიგაციისა და მართვის მეთოდები, ამასთან გამოყენებული იყო ზედაპირის სატელევიზიო და ტელეფოტოპანორამული გამოსახულებანი, აგრეთვე ტელემეტრიული ინფორმაცია მთვარემავლის მდგარეობის შესახებ.

ავტომატური აპარატის მოძრაობის მთელ ტრასაზე მრავალჯერ განისაზღვრა მთვარის გრუნტის ზედაპირული ფენის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და ქიმიური შედგენილობა. ეს ექსპერიმენტები სრულდებოდა სხვადასხვა მეთოდით. მთვარემავლემ გამოიკვლია ზედაპირის დამახასიათებელი უბნები, კრატერების შიდა ფერდობები და ცალკეული ქვები. განვლილ პერიოდში შესრულდა ბუნებრივად განლაგებული გრუნტის თვისებათა 200-ზე მეტი პირდაპირი გაზომვა. გაწუღულმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო სრული და მრავალფეროვანი ინფორმაცია ავტომატური აპარატის მიერ განვლილ მთელ ტრასაზე მთვარის გრუნტის სიმტკიცისა და ქიმიური შედგენილობის შესახებ.

ადგილის ტოპოგრაფიული შესწავლისათვის გამოყენებული იყო სატელევიზიო პანორამები, აგრეთვე ტელემეტრული მონაცემები მოძრაობის დროს მთვარემავლის გზის სიგრძის, კურსის, დახრილობისა და დიფერენტის გაზომვათა შესახებ. ფოტოგრაფირების პროცესში მიღებულია რამდენიმე კრატერის სტერეოსკოპიული ჯამოსახულებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ შევსწავლოთ მათი აგებულება. ინფორმაციის დამუშავების შედეგების მიხედვით მომზადებული იყო ტოპოგრაფიული გეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო უბნების რუკები და აღწერილობანი.

მიღებულია საინტერესო შედეგები მთვარის ზედაპირზე რადიაციული ვითარების შესახებ და ვრცელი ინფორმაცია კოსმოსური კორპუსკულარული გამოსხივების, მათ შორის იმ გამოსხივების ნაკადების შესახებ, რომელიც გამოწვეულია მძლავრი აფეთქებით მზეზე.

პირველად მოეწყო ცდა გამოგვეყენებინა მთვარე სამყაროს დაშორებული რაიონების შესწავლის ბაზად რენტგენული ტელესკოპის საშუალებით. სრულდებოდა კოსმოსური რენტგენული გამოსხივებისა და ცალკეული წყაროების ინტენსივობისა და კუთხური განაწილების გაზომვები. მთვარის ზედაპირიდან შესრულებული დაკვირვება საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ რენტგენული წყაროდან სიგნალის ხანგრძლივი დაგროვება, რაც შეუძლებელია თანამგზავრებიდან და საპლანეტათშორისო სადგურებიდან კვლევის დროს. ეს შესაძლებლობას გვაძლევს დავაკვირდეთ გამოსხივების ფრიად სუსტ წყაროებსაც. მთვარეზე მიტანილი რენტგენული ტელესკოპის მეშვეობით ექსპერიმენტების განხორციელება ატმოსფეროს გარეშე ასტრონომიის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპია.

მთვარის ღამეების პერიოდებში, ავტომატური აპარატის დღემის დროს, სრულდებოდა მთვარემავლზე დადგმული ფრანგული კუთხური შუქამრეკლავის ლაზერული ლოკაციის სეანსები. ეს კვლევა მიმდინარეობდა დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილის ზუსტი გაზომვის მიზნით. ლაზერული ლოკაცია საშუალებას გვაძლევს აგრეთვე გამოვეკვლიოთ მთვარის ბრუნვა და ლიბრაცია, დავაზუსტოთ მის ზედაპირზე ცალკეულ წარმონაქმნთა კოორდინატები. ლაზერული ლოკაციით შესრულებული ექსპერიმენტების შედეგად აღირიცხა მკაფიოდ გამოხატული სიგნალები.

კვლევის წინასწარი მეცნიერული შედეგები ფართოდ გააშუქეს პერიოდულმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ, მიღებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა გრძელდება.

მთვარეზე სამი თვის მუშაობის შედეგ „ლუნოხოდ-1“ აპარატის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს განვაგრძოთ მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის პროგრამა.

„ლუნა-17“ ავტომატურმა სადგურმა და „ლუნოხოდ-1“ მოძრავმა ლაბორატორიამ ცხადყვეს, რომ შესაძლებელია ეფექტიანი და ეკონომიური წესით გადაიჭრას მთვარისა და კოსმოსური სივრცის კვლევის რთული ამოცანები, და საშუალება მისცეს მეცნიერებსა და ინჟინრებს შეეძინათ ახალი კოსმოსური ავტომატური აპარატების შექმნისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნა და მათი ექსპლოატაციის გამოცდილება.

საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში

19 თებერვალს გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომლის მონაწილეებმა განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი.

მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ჯ. ტ. პროხოროვმა.

მოხსენების გამო კამათის დროს დაწვრილებით იმსჯელეს მუშაობაზე, რომელიც პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გასწიონ დირექტივების პროექტით დასახული ხუთწლედის იმ მთავარი ამოცანის გადაწყვეტის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომ უზრუნველყოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სავსებით მოიწონა დირექტივების პროექტი და დაავალა პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს, პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ამ დოკუმენტის ღრმა განმარტება, საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობათა და დაწესებულებათა კოლექტივებში გაჩაღონ დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოუწოდა ჩვენი ქვეყნის პროფესიული კავშირების წევრებს, ყველა შრომელს გაამრავლონ ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებს შეხვედრისათვის ბრძოლაში, აღნიშნონ იგი ახალი შრომითი მიღწევებით ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. (საკდესი).

„ლუნოხოდ-1“ მზად არის მთვარის ღამისათვის

ზორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 19 თებერვალი, (საკდესი). 18 და 19 თებერვალს მთვარემავლთან კავშირგაბმულობის სეანსების დროს სრულდებოდა მეოთხე მთვარის დღის დასკვნითი ექსპერიმენტები.

19 თებერვალს განხორციელდა თვითმავალი აპარატის მთვარის ღამისათვის მომზადების ოპერაციები. როცა მთვარემავლს საჭირო საორიენტაციო მდებარეობა მისცეს, მზის ბატარეის პანელი დახურეს.

20 თებერვლისათვის დასახულია მოეწყოს კავშირგაბმულობის მორიგი სეანსი მთვარემავლის საბორტო სისტემების მდგომარეობის შემოწმების მიზნით. მთვარის ღამის პერიოდში—20თებერვლიდან 6 მარტამდე ავტომატური აპარატი სტაციონარულ მდგომარეობაში იქნება.

ჩვენი ხვალინდელი დღე

ასე გაიზრდება საცხოვრებელი ფართობი ახალ ხუთწლედში

(მილიონ კვადრატულ მეტრებით)



სსრ კავშირში ახალ ხუთწლედში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე უნდა აშენდეს 565-575 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტიდან.

ეს ეს ... ...

გაანვითარებთ დირექტივების პროექტს

საქართველო ახალ ხუთწლეულში

ხუთწლეულის საფეხურებით

ხუთწლედი... საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში ამ სიტყვამ დიდი ხანია განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. რევოლუციის პირველი წუთებიდან დღემდე მიგეჩვეთ განვლილი გზის, მიღწეულების, მიზნებისადმი სწრაფვის ხუთწლეულის საზომით შეფასებას. კალენდრიობის ყველაზე დიდმა მონაპოვარმა — სოციალიზმმა ხუთწლედის ნაბიჯებით გვასწავლა ერთობლივად, შეკავშირებულად, ინტერნაციონალურად, ერთ ოჯახად აღიქვათ მზნები და მისწრაფებები. ამ საერთო საქმეში ყველა ჩვენგანი ხედავს კონკრეტულად ღვიძლ, უაღრესად მნიშვნელოვან მოვალეობას, რომლის შესრულება ადამიანის კეთილდღეობის საწინდარს იძლევა.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ადამიანის უპირველესი და ყველაზე კაცთმოყვარე ვალია, რადგან იგი ყველაზე ჰარმონიული საზოგადოების შექმნის წინაპირობაა. დღეს, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი სახალხო მეურნეობის მეცნიერული განვითარების მკაფიო გეგმას გვისახავს, როცა მატერიალური ბაზის შექმნასთან ერთად იქმნება უდიდესი პროგრამა ადამიანის სულიერი განვითარებისა, ჩვენ, კულტურის მუშაკები, უდიდესი პერსპექტივების წინაშე ვდგავართ, პერსპექტივებისა, რომელთა განხორციელებაში ვხედავთ ჩვენს წვლილს დიდ, საერთო-საკაცობრიო საქმეში. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ყოველი ჩვენგანის თუნდაც მცირე წვლილი და საზრუნავი ერთი დიდი და საშვილიშვილო საქმის განუყოფელი ნაწილი არ იყოს. როცა ამ პოზიციებიდან ვკითხულობთ პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს ვგრძნობთ მის ცხოველმყოფელ ძალას და მომავალსაც უფრო მკაფიოდ ვხედავთ.

მომავალ ხუთწლედში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში უდიდეს მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს და მასში რესპუბლიკის კულტურის მუშაკების წვლილიც იქნება.

გადავხედოთ, რა ცვლილებები იქნება კულტურის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან უბანზე—თეატრალური ცხოვრების უბანზე. თვითდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ის, რაც მომავალ ხუთწლედში უნდა გაკეთდეს, თავისი მნიშვნელობით და მასშტაბებით დიდად აღემატება წინა წლებში ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. თუ აქამდე საბჭოთა კავშირის დედაქალაქსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში საგასტროლოდ მხოლოდ გამორჩეული, ცენტრალური ქართული თეატრები მიემგზავრებოდნენ, ახლა ამგვარი გასტროლები ელით პერიფერიულ თეატრებსაც.

ამჟამად რაიონულ ცენტრებში მოქმედი თეატრები გადაკეთდა სარაიონთაშორისო თეატრებად. რას ნიშნავს ეს? თუ აქამდე თელავის თეატრი ძირითადად მხოლოდ თელავს ემსახურებოდა, მომავალში მისი საგასტროლო მოღვაწეობის ზონა იქნება მთელი კახეთი, იგივე შეიძლება ვთქვათ შესახებ, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში აღარ იქნება არც ერთი ართეატრალური რაიონი. სპექტაკლების შეფასებაში მონაწილეობას მიიღებენ სოფლის მშრომელებიც.

მომავალ ხუთწლედში გათვალისწინებულია კულტურულ-საგანმანათლებლო კერათა ახალი მშენებლობა. ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი კეთილდღეობისაკენ. ახალ კომფორტულ და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ შენობებს მიიღებენ თბილისის ჭრიბოედოვის სახელობის, მესხეთის, თელავის, თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრები.

ახალ ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცევა ბიბლიოთეკების შენობების, განსაკუთრებით სოფლად. ეს ფრიად საგულისხმო ფაქტია, რადგან მიზნად ისახავს სოციალისტური სოფლის მშრომელებს, ჩვენი ოჯახთის შემქმნელებს ისეთივე განათლების წყაროო ჰქონდეთ, როგორც ქალაქში მცხოვრებთ.

დღეს არსებული ბიბლიოთეკების რიცხვი 3194-დან გაიზრდება 3489-მდე, აქედან სოფლის ბიბლიოთეკების რიცხვი 2778-დან 2972-მდე.

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების განხორციელების შედეგად სოფლად საგრძნობლად გაიზრდება კლუბების რიცხვიც.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით სხვა საბჭოთა სპეციალურ დაწესებულებებთან ერთად რაიონულ ცენტრებში აშენდება მუსიკალური და სამხატვრო სკოლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები.

თბილისის ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების, ვგონ სარეჟიშორეული სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტისა და სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთათვის აშენდება საერთო საცხოვრებელი. ეს იქნება ახალი ტიპის კომფორტული ნაგებობა. საკონცერტო-სალექციო დარბაზითა და სამეცადინო ოთახებით.

თბილისელებმა ალბათ უკვე შეამჩნიეს კუს ტბის მიდამოებში, ფერდობზე შეფენილი ახალი უჩვეულო ნაგებობანი. ეს არის ქართული ხეროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი. აქ ლია ცის ქვეშ მნახველის თვალწინ გადაიშლება ჩვენს წინაპართა ყაიდაზე ნაგები სახლი თუ საკრებულო, ყოფითი თუ საზოგადო მნიშვნელობის შენობები... რეკონსტრუქცია გაუკეთდება თბილისის ზაჭარიი ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, სომხური დრამის თეატრების შენობებს. სულ მალე მწყობრში ჩადგება კინოსკონცერტო დარბაზის ულამაზესი ნაგებობა.

ამასთან ერთად დაწესდება აკადემიური თეატრების კლასიკური რეპერტუარის პერსპექტიული გეგმა. გარდაიქმნება თეატრების შემოქმედებითი და საორგანიზაციო მუშაობა.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი, პასუხსაგები ამოცანები დასახა პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებმა საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე. რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრების გარდაქმნებთან ერთად დიდი ცვლილებებია დასახული კულტსაგანმანათლებლო ქსელში, რომლის მუშაობის არე უნდა გადასწვდეს მთელ რესპუბლიკას.

უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო და რესპუბლიკის წიგნის მოყვარულებს ვახარო მარქსის სახელობის ცენტრალური რესპუბლიკური ბიბლიოთეკის შენობის გაფართოება. ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი წიგნის ბეჭდვის მხრივ პირველი სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში. არსად არ ექცევა ისე დიდი ყურადღება სასტამბო საქმეს, როგორც ჩვენში, რადგან წიგნი მილიონთა განათლების, სულიერი საზრდოს დედაა. არც ის არის დასამალი, რომ წიგნის გამოშვების მზარდ ტემპებს ზოდესაც ეროვნული ენა ტბის მიდამოებში ჩვენი სიყვარო ბიბლიოთეკა ველარ აკმაყოფილებდა. დღის წესრიგში დადგა ახალი შენობის აგება. მომავალ ხუთწლედში მწყობრში ჩადგება მარქსის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი წიგნსაცავი. ამიერიდან ნაკადად მომდინარე წიგნებს ახალი „ბინა" ექნებათ. მხრებს გაშლის და გაფართოვდება საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმიც.

განსაკუთრებით ვითვალისწინებთ საქართველოს ულამაზესი მხარის სვანეთის, ხევსურეთის მეტადრე კი ვარძიის ხუროთმოძღვრული ძეგლების მოვლა-აღდგენას.

ყველაფრის ჩამოთვლა-აღნუსხვა არც კი მოხერხდება. ცხოვრება თვითონ დაგვანახვებს იმ დიდ სიკეთეს, რომელსაც მომავალი ხუთწლედი მოიტანს. ეს ყველაფერი ახალი სიცოცხლით, ახალი ძალით. არის გათვალისწინებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში.

ოთარ თაქთაქიშვილი.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

განსაკუთრებული ყურადღებაა მივაქციოთ მოსახლეობის კულტურული მომსახურების სისტემის სრულყოფას, ძირითადად დავამთავროთ კულტურის სახლების შექმნა რაიონულ ცენტრებში და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა—ყველაა მსხვილ დასახლებულ კუნძტში.

(სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტიდან).

განვმარტოთ, ეროვნული ეკონომიკა ეფექტურად...

ეს დღეები საქართველოს კარტიულ ორგანიზაციებში

● **ბიათურა.** (საკ. კორ.). ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის დიმიტროვის სახელობის მადაროს მადნის ელექტროსატვირთო მანქანის მეშინჯანემ, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატმა, სოციალისტური შრომის გმირმა პ. გოგატიშვილმა განაცხადა:

— ხუთწლეული, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კომუნიზმის გზაზე. ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო მძლავრი გახდება საბჭოთა ეკონომიკა, თავდაცვითი ძალიერება. თვითეული საბჭოთა ადამიანი თავისი შრომით ახალოვებს კომუნიზმის გამარჯვებას. ამიტომ ახალ ხუთწლედში ვიშრომებთ, მამაცურად, თავდადებულად. რაც უფრო მაღალი იქნება შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მეტი იქნება ეროვნული შემოსავალი, მით უფრო მდიდარი იქნება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო უკეთ იცხოვრებს თვითეული საბჭოთა ადამიანი.

ვკისრულობთ ვალდებულებებს: პირადი ხუთწლედი ოთხ წელიწადში შევასრულოთ.

● **ცაგერი.** რაიონის მშრომელები მოწონებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს.

როგორც კი მივიღეთ „კომუნისტი", რომელშიც გამოქვეყნებულია დირექტივების პროექტი, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები შეუდგნენ მის შესწავლას და მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებას; ამ პასუხსაგებ საქმეში გულმოდგინედ ჩაება 29 აგიტკოლექტივი, 450 აგიტატორი, 225 პოლიტინფორმატორი, ეგრეთვე საზოგადოება „ცოდნა" ლექტორები და მომხსენებლები.

დირექტივების პროექტის ახსნა-განმარტება მაღალ დონეზე მიმდინარეობს, ლაპანის, ლაჯანის, ჩხუტელის, ტვიშის, ღვირიშის, ცაგერის კოლმეურნეობებში, სადაც აგიტკოლექტივებისა და პოლიტინფორმატორთა ჯგუფების ხელმძღვანელად მუშაობენ ვ. სანაკოძე, კ. ფრუიძე, ო. გვიმიანი, ი. მანაგაძე, გ. გიორგობიანი და ა. მუსელიანი.

პარტიის ცაგერის რაიკომმა მოიწყო პარტიული და საბჭოთა აქტივის თათბირი, რომელზეც სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის ახსნა-განმარტების ღონისძიებების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ჯიშიანმა. აქედან გულმოდგინედ მზადდება პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებები, რომლებზეც განხილულ იქნება დირექტივების პროექტი.

ვლ. ხეცურიანი.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

ოფიციალური ცნობები

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ლ. ფილოსანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით, ამხ. ვლადიმერ ლევანის-ძე ფილოსანი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვპპაძე

თბილისი,
1971 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. დ. ჯაფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სამმართველოს უფროსი ამხ. კონსტანტინე დავითის-ძე ჯაფი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვპპაძე

თბილისი,
1971 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. მ. მეხიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრ ამხ. გიორგი მურადის-ძე მეხიძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვპპაძე

თბილისი,
1971 წლის 19 თებერვალი.

შთამაგონებელი დოკუმენტი

ბერლინი. ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში დასახული მიზნები მოწმობენ საბჭოთა კავშირის უდიდეს მატერიალურ და სულიერ პოტენციალს, საბჭოთა საზოგადოების დაუშრეტელ ძალას, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი". როგორც გაზეთი აღნიშნავს, დირექტივების პროექტში დასახულია ამოცანები, რომელთა სიდიადე შეესაბამება მაღალ მიზანს — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

სოფია. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს ფართოდ გამოეხმაურნენ ბულგარელი მშრომელები. ეს დოკუმენტი, აღნიშნავს ბულგარეთის პროფკავშირთა ორგანო გაზეთი „ტრუდი", პროგრამაა, რომელიც მკაფიოდ ცხადყოფს ჰუმანიზმს, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა საზოგადოებას და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელი საქმიანობის აზრი და შინაარსი. დირექტივების პროექტი, ხაზს უსვამს გაზეთი, ითვალისწინებს სწრაფ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესს და დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ბუდაპეშტი. უნგრეთის ყოველკვირეული „მადიარორსაგი" სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს დირექტივების პროექტის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, კომუნიზმის მშენებარე დიდი სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ამაღლება, ხაზგასმით აღნიშნავს ყოველკვირეული, არის ფაქტორები, რომლებიც გაგლენას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკაზე.

პრაღა. გაზეთი „რუდე პრავო", „თვალსაჩინო მეცნიერულ ნაწარმოებს" უწოდებს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ დირექტივების პროექტი მთავარ ყურადღებას უთმობს მრეწველობის ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებას, ამასთან ითვალისწინებს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დაჩქარებულ ზრდას.

ჰავანა. კუბის გაზეთი „გრანმა" სკკპ მომავალ XXIV ყრილობას უწოდებს „დიდი მნიშვნელობის მოვლენას", აღნიშნავს, რომ საბჭოეთი მას ეგებება პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში მოპოვებულ ახალ მიღწევათა ვითარებაში. საბჭოთა კავშირის წარმატებანი, ხაზს უსვამს გაზეთი, მოწმობენ უსაზღვრო შესაძლებლობებს, რომლებსაც სოციალიზმი სახავს.

რიო-დე-ჟანეირო. გადაიდგა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი, წერს ბრაზილიის გაზეთი „ჟორნალ დუ კომერსიო", რომელიც განმარტავს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია მოხმარების საგნების უფრო სწრაფი ზრდა და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რეალური შემოსავლის დაახლოებით 30 პროცენტით გადიდება.

ხართუმი. სუდანის გაზეთი „ას-საპაფა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. „ას-საპაფა" განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ეკონომიკის განვითარება ხელს შეუწყობს სოციალიზმის განმტკიცებას და დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი მთელი პროგრესული ძალების კონსოლიდაციას.

20 თებერვალი (საკდესი).

ბერლინი. გერმანული სახელმწიფო ოპერის შენობა ქალაქის ცენტრში.
ფოტო ბ. სლოვეიოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲣᲛᲘᲨᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ

ბუქარესტი, 19 თებერვალი. (საკდესი). გამოქვეყნდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის კომუნიკე. იგი ძირითადად ეძღვნება უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას. თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ „ორმხრივი კონტაქტების მსვლელობაში შეიქმნა პირობები მრავალმხრივ საფუძველზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევისათვის მოსამზადებელ მუშაობაზე გადასასვლელად. ახლა ამოცანა ის არის, რომ არ გავაჭიანუროთ სრულიად ევროპის თათბირის მომზადების უფრო აქტიურ ფაზაზე გადასვლა".

„თათბირზე წარმოდგენილი სოციალისტური ქვეყნები, — ნათქვამია კომუნიკეში, — კვლავ ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ ფინეთის მთავრობის ინიციატივას — მოეწყოს ჰელსინკში ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მოსამზადებელი შეხვედრები და აცხადებენ, რომ მზად არიან ყოველთვის მიიღონ მონაწილეობა ამ შეხვედრებში". „საგარეო საქმეთა მინისტრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ასეთი მოსამზადებელი შეხვედრების დაუყოვნებლივ მოწყობა გამოიწვია იმან, რომ საჭიროა სრულიად ევროპის თათბირის პრაქტიკულ მომზადებაზე გადასვლა და საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ და შევათანხმოთ მის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები".

ამავე დროს თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ის წრეები, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ევროპაში დაძაბულობის შენელების გაღრმავებით, უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას. კერძოდ, აყენებენ მისი მოწვევის სხვადასხვაგვარ წინასწარ პირობებს, ცდილობენ თათბირის მოწვევის საკითხი დაუკავშირონ სხვა პრობლემებს.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს საჭიროდ მიაჩნიათ კვლავ ხაზგასმით აღნიშნონ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების საქმისათვის თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც ჯერ არ დაუმყარებიათ ასეთი ურთიერთობა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის უნდა დამყარდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებზე დაფუძნებული ურთიერთობა. დაძაბულობის შენელების ინტერესებს შეესაბამება აგრეთვე ის, რომ შეწყდეს წინააღმდეგობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღებისადმი. თათბირის მონაწილეებს თავიანთ ძმურ მოვალეობად მიაჩნიათ ყოველნაირად დაეხმარონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამ საკითხებში და შეაბამონ ღონისძიებებს განახორციელებენ ამისათვის.

ᲓᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

20 თებერვალი. (საკდესი). მოესპოთ სიღატაკე და უსამართლობა, განვახორციელოთ სოციალური რევოლუცია ხალხის მასების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად — ასეთი ლოზუნგებით ეგებება პარლამენტის არჩევნებს ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტია, განაცხადა ჟურნალ „ბლიტცისათვის" მიცემულ ინტერვიუში ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ. უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დასახულია ამჟამად ქვეყნის წინაშე, თქვა მან. — ეს არის ჩვენი ხალხის მხურვალე მისწრაფება რადიკალური სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებისა და სტაბილურობისაკენ.

ჩვენ ამომრჩევლებს ვპირდებით, თქვა შემდეგ ინდოეთის მთავრობის მეთაურმა, რომ მივაღწევთ სოციალურ გარდაქმნებს ქვეყანაში, რათა ახლის ხალხის ოცნება უკეთეს მომავალზე.

პრემიერ-მინისტრმა მოხაზა უპირველესი პროგრესული ღონისძიებების ფართო პროგრამა, რომელიც შეიცავს ბრძოლას რეაქციის ძალების წინააღმდეგ, რელიგიურ-თემური შუღლის შეწყვეტას, პირველი საჭიროების საგნებით ხალხის მასების უზრუნველყოფას, ფასების შემცირებას, წარმოების ზრდის მიღწევას, უმუშევრობის ლიკვიდაციასა და მიწის რეფორმის განხორციელებას.

ინდირა განდიმ სასტიკად გააკრიტიკა მონოპოლისტების, მემამულეებისა და სხვა ფეოდალური ელემენტების წინასაარჩევნო კავშირი, რომლებიც ცდილობენ, როგორც მან თქვა, „უკუღმა შემოატრიალონ პროგრესის გზით ქვეყნის წინსვლის დემოკრატიული პროცესი".

რასაა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ დემოკრატები ვართ, თქვენთვის მოგვინდია არჩევანი — ვიეტნამიზაცია ან ამერიკანიზაცია.

ნახატი ამერიკულ გაზეთ „დეილი უორლდიდან".
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲥᲪᲘ

ვაშინგტონი, 20 თებერვალი. (საკდესი). აქ ჩაიდინეს ვანდალიზმის მორიგი აქტი ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა წარმომადგენლების მიმართ — გუშინ ღამით დაწვეს სამი საბჭოთა დიპლომატის — სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს თანამშრომლების ავტომანქანები.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლისა და ასოშიეიტედ პრესის საგენტოთა ვაშინგტონის განყოფილებებში დაახლოებით ღამის სამ საათზე გაისმა ზარი, რომელმაც აშკარა გახადა, თუ ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული. პროვოკაცია „ებრაელთა დაცვის ლიგის" მოფაშისტო არამზადების ჩადენილია.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გუშინ გაკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გმობს „ვანდალიზმის უაზრო აქტს საბჭოთა საელჩოს სამი მუშაკის საკუთრების მიმართ". პრეს კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „ყველაფერს იღონებს, რათა მოძებნოს და სასამართლოს გადასცეს დამანაშავენი".

მაგრამ სიონისტი არამზადები დაპარპაშებენ ამერიკაში, რომელსაც აქვს მძლავრი პოლიციური აპარატი, და დაუსჯელად სჩადიან თავიანთ შავბნელ საქმეებს. დღემდე, მაგალითად, ხელისუფალთ „ვერ მოუძებნიათ" დამნაშავენი, რომლებმაც ამა წლის იანვრის დამდეგს ბომბი ააფეთქეს საბჭოთა კავშირის ვაშინგტონის საელჩოს საინფორმაციო და საკონსულო განყოფილებების შენობასთან. ოფიციალურ ხელისუფალთა აშკარა წყალობა მხოლოდ აქეზებს სიონისტ ულტრებს ახალი პროვოკაციებისა და დანაშაულებრივი აქტებისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში მომუშავე საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის საელჩომ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღშფოთებას გამოთქვამს ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ ტერორიზმის კიდევ ერთი აქტის გამო. ეს დანაშაულებრივი აქტი, ხაზგასმულია განცხადებაში, მიზნად ისახავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუარესებას. უკვე დროა ამერიკის ხელისუფლებამ დაიპატიმრონ და დასჯონ დამნაშავენი.

ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტული ძალების მძლავრი შეტევები ამერიკა-საგონის ინტერვენტების წინააღმდეგ ჩაფუშვის საფრთხეს უქმნიან ეგრეთწოდებულ „ლაოსის ოპერაციას", რომელიც გულდასმით არის შემუშავებული ვაშინგტონსა და საიგონში.

როგორც რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტის ცნობები მოწმობენ, ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებმა ლაოსის წინაღმდეგ აგრესიის დაწყების დროიდან გუშინ პირველად აღიარეს, რომ ამ ნეიტრალურ ქვეყანაში შეჭრა „ვერ მიდის გეგმის თანახმად". ცნობებში აღნიშნულია, რომ „შეტევის" შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლი", რომელსაც უშენენ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციას, რომელიც იცავს საიგონის სახელეთო ჯარებს.

უცხოთის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, რომ ლაოსის განთავისუფლების სახალხო არმიის მებრძოლებმა გუშინ ხელთ იგდეს მტრის მთელი რიგი გამაგრებული სამხედრო პუნქტები სამხრეთ და ჩრდილოეთ ლაოსში. მათ იგრეთვე არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბაზას ლონჩენგში.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ** პალატის საბიუჯეტო კომისიამ გადაწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალის ზღვარი გაადიდოს 35 მილიარდი დოლარით, რასაც მოჰყვება რეკორდული დონე — 430 მილიარდი დოლარი. ამერიკის მთავრობის სახელით ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო ვალის მაქსიმალური დონის გადიდების თხოვნა კონგრესში მანამდე ერთი დღით ადრე შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა კონნელმ. წარმომადგენლთა პალატის საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილება, თუ იგი მოიწონა ამერიკის კონგრესმა, ახალ ტვირთად დაუვნება ამერიკელ გადასახადის გადამხდელთ.

● **მეხუთე** დღეა შიმშილობას განაგრძობენ პოლიტიკური პატიმრები ლისაბონის გარეუბნის ატომნილქის საპატიმროში. პოლიტიკურმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ საპატიმროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩასვას ორი მათი ამხანაგი სამარტოო საკანში. შიმშილობის შესახებ ცნობილი გახდა ლისაბონში გავრცელებული ხელნაწერი წერილიდან, რომელსაც ხელს აწერენ „პოლიტიკურ პატიმართა ოჯახები". წერილი მოუწოდებს გამოიძიონ და ბოლო მოუღონ „საპატიმროს ხელმძღვანელობის თვითნებობას".

● **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ** ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის მთავრობები კვლავ საიდუმლოდ ინახავენ მათ შორის დადებული შეთანხმების შედეგებს. შეთანხმება ითვალისწინებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ იმ ხარჯების „სავალუტო კომპენსაციას", რომლებსაც ინგლისი ახმარს ინგლისის ჯარების შენახვას დასავლეთ გერმანიაში. შეთანხმება ამ საკითხზე ორივე მთავრობას შორის მიღწეული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის შეელის ლონდონში ამასწინანდელი ვიზიტის დროს.

● **დელი.** როგორც აქ გამოაცხადეს, ინდოეთის მოსახლეობის რიცხვი ამჟამად შეადგენს 553.964.000-ს. ყოველწლიურად ქვეყნის მოსახლეობა 2,5 პროცენტით იზრდება.

● **მიწისძვრა** რაინის ოლქში. 18 თებერვალს ღამით ჰოლანდიის, აგრეთვე რაინის ოლქის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ათიათასობით მცხოვრები გამოალვიძა მიწისძვრამ. სეისმოგრაფებმა აღრიცხეს 4,7 बალი ძალის მიწისძვრა. როგორც ბენსბერგის სეისმური სადგური იტყობინება, მიწისძვრის ეპიცენტრი იყო ჰოლანდიის ქალაქ რერმონდის რაიონში. ბიძგის შედეგად, რომელმაც 10 წამს გასტანა, გაიბზარა რამდენიმე სახლის კედელი ამ ქალაქში. რამდენიმე ხნით შეწყდა ელექტროენერგიით მომარაგება. ათასობით შეშინებულმა ადამიანმა მიატოვა ღამით სახლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ქართველთა ღვაწლი გმირობა

ᲬᲔ ᲐᲗᲐᲡ ᲘᲝᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲓ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲣᲠᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ.

ᲝᲛᲘᲡ ᲣᲧᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲠᲝᲡ, 1941-1942 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲒᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ, ᲛᲝᲫᲣᲔᲓ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ, ᲥᲕᲔᲓᲒᲐᲜᲐᲣᲛᲝᲤᲝᲑᲨᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲔᲫᲕᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ.

ᲞᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲐᲖᲔ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲘᲓᲔᲣᲠ-ᲐᲦᲛᲖᲠᲓᲔᲚᲝᲒᲘᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲒᲖᲘᲗᲮᲠᲝᲑᲘᲗ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ — „ᲡᲣᲚᲘᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲜᲘ, ᲨᲔᲣᲓᲠᲔᲙᲔᲚᲜᲘ“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲜᲐᲪᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘ, ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ ᲓᲐᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲑᲐᲡ.

ᲕᲔᲚᲘᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡᲐ!

1.

ᲞᲐᲥᲡᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛᲘᲡᲮᲐᲜᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲚᲓᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲢᲐᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡᲐᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲐᲗᲘᲝᲓᲔ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲔᲠᲒᲘᲠᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲠᲚᲘ ᲛᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜ

ელენე დიდიმაძიშვილი

ჩემი საქართველო

გზაზე მინათებენ დედის ნათელივით
მარად იდუმალი, უცხო შთაგონებით —
დიდი ფიროსმანის ყალმით დაწერილი
ჩემი მზე და მიწა, ჩემი მთაგორები...
მრავლით დარბეული, მრავლით აღდგენილი,
მარად ბრძენთა ბრძენი, მარად გმირთა გმირი,
უხვი, მადლიანი შრომით აღვლენილი,
სულით უმტკიცესი, გულით პირდაპირი...
მწვავდა ჩემი ზეცა — მუდამ ლურჯთვალება
რაღაც სიდიადით, რაღაც თილისმებით...
ლოცვით მინატრია მისი უკვდავება,
ლოცვით მომივლია მისი დიდი გზები...
მთათა ორწოხები მხედრებს ედრებიან,
მათმა მოგონებამ ღამე დამათენოს...
უცხო წალკოტია, უცხო ედემია —
ჩემი ერთი ბეწო — დიდი საქართველო!..

სპორტის სეზონები

სტუდენტთა კონცერტი

ცხაკაია. (საკ. კორ.). ახლახან აქ კონცერტი გამართა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საეტრადო ანსამბლმა „ლალმ“, რომლის დირიჟორია ავ. მამაცაშვილი, პროგრამის წამყვანი ს. ჯაფარიძე. სტუდენტთ-შემსრულებელთა კონცერტს მაყურებელი მოწონებით შეხვდა.

„ჩელამ“ მოხიბლა ლენინგრადელები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). დიდი ხნის ისტორია არა აქვს ქალაქის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს „ჩელას“ (მხატვრული ხელმძღვანელები ო. ლეთანძე და გ. ჯორჯიკია, ქორეოგრაფი ვ. ბულია), მაგრამ მან უკვე მოიპოვა მაყურებელთა სიყვარული.

ამ ცოტა ხნის წინათ ანსამბლი იყო ლენინგრადში და ქარხანა „ელექტროაპარატის“ კლუბში გამართა კონცერტი. აი რას წერს ამ კონცერტის შესახებ გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში „ლენინგრადსკაია პრავდის“ კორესპონდენტი ს. იუხნოვი.

„ქარხანა „ელექტროაპარატის“ კლუბში ქ. ზუგდიდის ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლმა „ჩელამ“ მშვენიერი კონცერტი გამართა. სულ თორმეტი ნომერი იქნა შესრულებული. მართალია, ბევრის მნახველი და მაღალი გემოვნების ლენინგრადელი მაყურებლის გაოცება არც თუ ისე იოლია, მაგრამ გულახდილად უნდა თქვას, რომ ზუგდიდელებმა შეძლეს მათი მოხიბლვა. ყოველი ნომრის შესრულებისას მქუხარე ტაში გაისმოდა“.



ბათუმი, თებერვალი

პატივცემულო რედაქციავ!

როგორც ცნობილია, აჭარაში დიდი თოვლი მოვიდა. მე, როგორც ფოტომოყვარულმა, გადავიღე რამდენიმე სურათი. გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენ გაზეთის ფურცლებზე.

პატივისცემით
ა. ლ. ლომიძე,
ქ. ბათუმი.

სიამოვნებით ვასრულებთ ჩვენი მკითხველის, ფოტომოყვარულ ა. ლომიძის თხოვნას.

ფალავნები ფალავნობენ

ორი დღეა სპორტის სასახლეში მიმდინარეობს თბილისის ღია ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში უკრაინის, აზერბაიჯანის, ლატვიის, სომხეთის, მოლდავეთის, ლენინგრადისა და საქართველოს აღლეტების მონაწილეობით. რესპუბლიკური და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების წინ ეს ასპარეზობა წარმოადგენს ძალთა მოსინჯვას, რეპეტიციას.

მეკარეები ძელმა „იხსნა“

მეხიკო, 20 თებერვალი. (საკდესი). მექსიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების განმეორებითი შეხვედრა, რომელიც ამჯერად მეხიკოს სტადიონზე მიმდინარეობდა, ისევე როგორც ვვადალაჰარის პირველი მატჩი, დამთავრდა ფრედ — 0:0.

დასაწყისში უპირატესობა საბჭოთა ფეხბურთელების მხარეზე იყო. მეოცე წუთზე დოლგოვის ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. შემდეგ ქვემო დაბალ კუთხეში კარგად დაარტყა მენტიანმა, მასპინძელთა მეკარემ ძლივს მოიგერია ბურთი. შეხვედრის მიწურულში მექსიკელი ფეხბურთელები უფრო ცოცხლად გამოიყურებოდნენ. სტუმრები უსიამოვნებისაგან ერთხელ ძელმა „იხსნა“.

სსრ კავშირის ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: შბუცი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ძოძუაშვილი, დოლგოვი, ფედოტოვი, მუნტიანი (ულჩიცკი), შევჩენკო, ნოდია, ევრიუჟიხინი (დუდარენკო).

(საკდესი).

გუშინ სპორტის სასახლეში

□

გუშინ გაიმართა მესამე და მეოთხე წრის შეხვედრები, შედგა ფინალური შეჯიბრებაც უმჩატეს წონაში. საერთოდ, ამ ტურნირზე წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებიც კარგ ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებას ამჟღავნებენ და საპრიზო ადგილებისათვის იბრძვიან.

დღის პირველი ნახევრის შეხვედრებში ქულებით გამარჯვება მოიპოვეს — ჯაოშვილმა, მეგრელიშვილმა, სირბილაძემ, ქურციკიძემ. წმინდა მოგება ჩაწერეს აქტივში — ლეკვეიშვილმა, ჭელიძემ, ხანდოლიშვილმა, დუღუნიშვილმა, ჩიბურდანიძემ.

საღამოს, ფინალში (უმჩატესი წონა) პაექრობა ჰქონდათ ლეგიდლაშვილსა და უკრაინელ ფალავანს. ქულებით გაიმარჯვა გიგოლაშვილმა და პირველობაც მან მოიპოვა.

ჭელიძემ ქულებით დაამარცხა აზერბაიჯანელი ასკეროვი და პირველი ადგილისათვის განაგრძობს ბრძოლას. მძიმე წონაში მორჩილაძისა და ლენინგრადელ ფრიდმანს არც ერთი საჯარიმო ქულა არ ჰქონიათ. მათი შეხვედრა მოიგო მორჩილაძემ.

დღეს გაიმართება ფინალური შეხვედრები.

ჩემპიონთა უპირატესობით

მოსკოვში ფინიში აქვს საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირს ჩოგბურთში. 20 თებერვლისათვის უკვე ცნობილი იყვნენ ფინალისტები.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს ო. მოროზოვას ნახევარფინალში შეხვედრა ჰქონდა ახალგაზრდა ჩოგბურთელ ე. გრანატუროვასთან, გაიმარჯვა 6:3, 6:4 და ფინალში გავიდა. ფინალის სავალური მოიპოვა აგრეთვე მ. კულმა, რომელმაც სძლია ა. ერემეევას 6:3, 4:6, 7:5. დასკვნითი პაექრობა პირველი ადგილისათვის ექნებათ ო. მოროზოვასა და მ. კულს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვაჟთა ერთეულების ფინალში გავიდა სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ა. მეტრეველი, რომელმაც მოუგო ვ. კოროტკოვს 6:2, 6:2, 6:4. ა. მეტრეველს გადამწყვეტი ასპარეზობა ექნება ა. ვოლკოვთან. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში დაამარცხა ვ. პესჩანკო 6:3, 6:4, 4:6, 7:5.

შერეული წყვილების ნახევარფინალში ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა მოუგეს უნგრეთის დუეტს ე. საბოსა და რ. მახანს 6:2, 6:3 და ფინალში გავიდნენ. მათი მოწინააღმდეგენი გადამწყვეტ შეხვედრაში იქნებიან ე. ბირიუკოვა და ს. ლიხაჩოვი, რომლებმაც ნახევარფინალში სძლიეს ზ. ჩუვირინასა და თ. კაკულიას.

2,5:0,5 მ. რანიკუს სასარგებლოდ

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონრბის საკითხი ჰადრაკში ქალთა შორის უნდა გადაწყვიტოს საერთაშორისო ოსტატების ა. კუშნირისა და მ. რანიკუს მატჩმა. ორი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 1,5:0,5 მ. რანიკუს სასარგებლოდ. ამიტომ მესამე პარტიამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს ვერესოვის დებიუტის მწვავე ვარიანტი. არა ერთი გართულებისა და შეწირვების შემდეგ პარტია დაუმთავრებელი დარჩა. იგი გადადო რთულ ენდშპილში.

გუშინ გადადებული პარტიის დამთავრებისას გაიმარჯვა მ. რანიკუმ. ანგარიშია 2,5:0,5 მ. რანიკუს სასარგებლოდ.

ფეხბურთის მერიდიანებზე

ცხრა ფინალისტი

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში იუნიორთა გუნდებისათვის შედგება 20-დან 30 მაისამდე ჩეხოსლოვაკიაში. ფინალურ ასპარეზობაზე დაშვებული იქნება 16 გუნდი. აქედან ცხრა უკვე ცნობილია. ესენი არიან გდრ-ის (გასულ ტურნირში გამარჯვებული), ჩეხოსლოვაკიის (ტურნირის მასპინძლები), აგრეთვე შესარჩევი შეხვედრებისაგან წელისყრით განთავისუფლებული ავსტრიის, ესპანეთის, სსრ კავშირის, საბერძნეთის, იუგოსლავიისა და ინგლისის გუნდები და პოლონეთის ნაკრები, რომელმაც შესარჩევ მატჩებში სძლია უნგრეთის გუნდს.

შეიძლება თუ არა ფეხბურთის თამაში... მთვარეზე?

ამერიკელ ასტრონავტს ედვინ ოლდრინს მიაჩნია, რომ პრინციპში ფეხბურთის თამაში მთვარეზე შეიძლება. მიზანშეწონილია მოედნის გადიდება, რათა ბურთი ერთი დარტყმით დიდად არ გასცდეს მოედნის ფარგლებს. თამაში კი ფეხბურთელთათვის უფრო ადვილი გახდება, რადგან ბურთი „ჰაერში“ უფრო დიდ ხანს იქნება, ვიდრე მიწაზე.

რამდენიმე სტრიქონით

● **ფრანგეთი.** მოსკოვიდან ბულგარეთში გაუმგზავრა ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი, რომელსაც 22 თებერვალს ევროპის ჩემპიონთა თასზე სოფიაში მეორე მეოთხედფინალური შეხვედრა ექნება ბულგარეთის ცსკა-სთან. ალმა-ატის „ბურევესტნიკი“, რომელმაც ბუქარესტში დაამარცხა რუმინეთის ჩემპიონი 3:2, მეორე მეოთხედფინალურ მატჩს გამართავს ალმა-ატაში 24 თებერვალს.

● **მაგიდის ჩოგბურთი.** კუბიშევის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო საკავშირო პირველობამ მაგიდის ჩოგბურთში. მონაწილეობს 128 სპორტსმენი. წინასწარ შეხვედრებში 32 გამარჯვებული გაითამაშებს საპრიზო ადგილებს. ჩემპიონებს 25 თებერვალს გავიცნობთ.

● **ძალოსნობა.** ოდესაში რამდენიმე დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი ძალოსნობაში. ქვემსუბუქ წონაში წარმატებით გამოვიდა ვ. ანიკინი, რომელმაც 3 ოქროსა და 1 ბრონზაოს შედეგი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო აჭიმვაში, ატაცსა და სამჭიდში. ვ. ანიკინმა სამჭიდში აწია 377,5 კილოგრამი.

● **ბაღრაკი.** ცხაკაიაში დამთავრდა საქართველოს პირველობის ნახევარფინალური ტურნირი ჰადრაკში. გაიმარჯვა ზუგდიდელმა პირველთანრიგოსანმა ნ. შოგირაძემ, რომელმაც 14 ქულა შეაგროვა. მომდევნო ორი ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს ლ. ნეურონოვმა (ბათუმი) და მ. არჩვაძემ (სამტრედია).

ბნელი საქმის დასასრული

ბოროტმოქმედნი ფოთელწყაროს ყველ-კარაქის ქარხანაში

◆

მავნე გადმონაშთებთან ულმობელი ბრძოლა, სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა გამოაშკარავება იყო და არის ჩვენი პარტიისა და ხალხის უყრადღების ცენტრში.

უკანასკნელ ხანს ამ მიმართულებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ტარდება პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები, სადაც კომუნისტები მთელი პრინციპულობით იმაღლებენ ხმას მექრთამეების, სახალხო დოვლათის დამტაცებლების, მათი მფარველების წინააღმდეგ. ამხილებენ ნაკლოვანებებს ამ საქმეში და სახავენ გზებს ყოველგვარი მანკიერების აღსაკვეთად.

საყურადღებო სიგნალი მიიღეს საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომმა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა იმის შესახებ, რომ წითელწყაროს ყველ-კარაქის მთავარ ქარხანაში ბოროტმოქმედებმა, საქმოსნებმა მოიკალთეს... სიგნალები საფუძვლიანი შემოწმების შედეგად დადასტურდა.

...წითელწყაროს ყველ-კარაქის ქარხნის რძის მიმღები საამქროს ოსტატები შ. ყატაშვილი და ქ. გელაშვილი სისტემატურად ხელოვნურად ამცირებდნენ რძის ცხიმიანობას. ამ გზით დამატებით ამზადებდნენ უხარისხო პროდუქციას.

მართალია, ქარხანაში არსებობს ლაბორატორია, რომელსაც ევალება გულდასმით შეამოწმოს პროდუქციის ხარისხი, მაგრამ მისი მუშაკები თითებშუა უყურებდნენ იმას, რაც ხდებოდა მათ თვალწინ.

საამქროსა და საწყობებში კი ბოროტმოქმედები თავისას აკეთებდნენ. შემოწმებისას 42 ტონა თუშური ყველიდან არასტანდარტული აღმოჩნდა 19 ტონა და 388 კილოგრამი, რომლის ცხიმიანობა საშუალოდ 43,9 პროცენტით განისაზღვრა ნაცვლად 50 პროცენტისა.

ახალი წლის წინადღეებში სულგუნზე ქალაქ რუსთავშიც დიდი მოთხოვნილება იყო. ქარხნის საწყობის გამგემ ნ. კოკილაშვილმა რუსთავვაჭრობის № 34 სასურსათო მაღაზიას (დირექტორი ი. წერეთელი, რომელიც სხვათა შორის წინათ ქურდობისათვის იყო ნასამართლევი) 3.144 კილოგრამი სულგუნი გაატანა, რაც მალე გაიყიდა. ნ. კოკილაშვილმა და მაღაზიის უფროსმა გამყიდველმა გ. გიორგაძემ სწრაფად შეცვალეს სასაქონლო სატრანსპორტო ზედდებული და სულგუნის რაოდენობა 1500 კილოგრამით ნაკლები უჩვენეს, რითაც მათ მიითვისეს 3150 მანეთი.

იმავე დღეებში მეორე ზედნადებით ნ. კოკილაშვილმა რუსთავვაჭრობის № 82 სასურსათო მაღაზიის უფროს გამყიდველს ბ. წოწორიას 1500 კილოგრამი სულგუნი მისცა. ელვის სისწრაფით გაჩნდა რუსთავში წითელწყაროს ყველ-კარაქის ქარხნის სპეციალური წარმომადგენელი, შეცვალეს სპეციალური დოკუმენტი და 1500-ის მაგიერ 500 კილოგრამი სულგუნი უჩვენეს. ფულის სხვაობა კი... გასაგებია, სად წავიდა და ვინ მიიღებდა.

დღე დღეს მისდევდა და ასეთი ბოროტმოქმედებით ისქელებდნენ ჯიბეს სახელმწიფოს ხარჯზე. როცა ნ. კოკილაშვილს ჰკითხეს, თუ ვის უნაწილებდა ფულს, მან თავი ჩაქინდრა და თქვა:

— პირველ რიგში ჩემს „ხაზეინს“ გიორგი ბოსტაშვილს. ერთხელ 910 მანეთი მივუტანე. იოტავა. ალაზნის წყლით შეზავებულ რძეში მოგებულ ფულს კაცი დაიწუნებდა? მე 400 მანეთიღა შემრჩა...

ცივ უარზე იდგა ქარხნის დირექტორი გიორგი ბოსტაშვილი: მე, რაიონში ცნობილი კაცი, მაგას ვიკადრებდიო.

ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, სწორედ ასე დაემართა გიორგი ბოსტაშვილს. შემოწმების დროს, რომელსაც თვითონ და მისი მეუღლე ესწრებოდნენ, მათი საცხოვრებელი ბინის ქვეშ სამარხში და ოთახში გადამალული 53.007 მანეთი აღმოჩნდა.

გამდიდრების მანიით შეპყრობილი ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორს რომ უყურებდნენ, მადა სხვებსაც გაღვიძებოდათ.

რძის გადამმუშავებელი საამქროს ცვლის ოსტატს შალვა უჯარაშვილს აღმოაჩნდა 19420 მანეთის ნაღდი ფული და სამპროცენტიანი ობლიგაციები, ხოლო წარმოების უფროსს ვ. მოხოვას 7.162 მანეთი ჰქონდა დამალული.

რძის გადამმუშავებელი საამქროს ოსტატმა ქუჩუკ გელაშვილმა მარტო 1970 წლის 26 ნოემბრიდან 1971 წლის 10 თებერვლამდე 3.800 კილოგრამი სულგუნი დააგროვა და „მარცხენა“ მხრიდან გაასაღა. მოგება თავის უერთგულეს ძმაკაცს ნ. კოკილაშვილს გაუყო.

ქ. გელაშვილმა უსირცხვილოდ განაცხადა:

— მე პარტიის წითელწყაროს რაიკომის წევრობის კანდიდატი ვიყავი, ახლა მაინც მინდა გულახდილად ვთქვა სიმართლე: როგორც წესი, ყოველთვიურად დირექტორ ბოსტაშვილს 200 მანეთს ვაძლევდი. ქარხნის წარმოების უფროსს ვალენტინა მოხოვას და ბუღალტერ ვენერა იაკობაშვილს კი ორმოცდაათ-ორმოცდაათ მანეთს.

საწყობის გამგეს ნ. კოკილაშვილს დიდძალ ფულთან ერთად სახლში სასაქონლო სატრანსპორტო მკაცრი აღრიცხვის ცარიელი ფაქტურებიც უნახეს, რაც წინასწარ უკვე დამოწმებული იყო მთავარ ქარხნის გერბიანი ბეჭდით.

როგორც მთავარ ქარხანაში, ისე ამ ქარხნის ოლეს, არამშიაკის, ზილიჩის რძის გადამმუშავებელი ქარხნების აღრიცხვაში არევ-დარევა იყო გამეფებული. საწყობებში უხვად ჰქონდათ არასტანდარტული ყველი, მას ცხიმიანობაც აკლდა და, ცხადია, გემოც. ამ ქარხნების თანამშრომელი გ. მაძღარაშვილი, ა. კოტაშვილი, თ. ნატროშვილი ახლა ხელებს ასავსავებენ: ეს რა მოხდა, რა დაგვემართაო!

ბოროტმოქმედებს კოეზი ნაცარში ჩაუვარდათ. ეს სრულიად კანონზომიერია. მაგრამ ისმის კითხვა — შეიძლებოდა თუ არა მათი დროზე ალაგმვა, რომ იტყვიან, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მიღება? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროდან რამდენჯერმე ყოფილან ამ ქარხანაში კომისიები, მაგრამ მათ ვერ „შეუნიშნავთ“ თუ რა ბოროტმოქმედება ხდებოდა აქ.

პარტიის წითელწყაროს რაიკომმა განიხილა ქარხანაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი და დამნაშავენი სასტიკად დასაჯა.

ვფიქრობთ საბჭოთა მართლმსაჯულება საკადრისს მიუზღავს ბოროტმოქმედთ.

ა. გოცირიძე.

მონადირის ბილიკებზე

□

ორთაბრძოლა დათვებთან

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). მაღალმთიანი სოფელია წყალაფორეთი. აქაურ პირუტყვს დათვი შეეხვია. კოლმეურნეები ბევრჯერ ჩაუსაფრდნენ მტაცებელს, მაგრამ ამაოდ.

ერთ დასვენების დღეს ამ სოფლის მკვიდრმა, ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მძღოლმა ვაჟა ხიჯაკაძემ თოფი აიღო და კვერნაზე სანადირაოდ წავიდა ჯაბანოურას მთებში.

შქერის გაუვალ ბუჩქნარებში ძაღლებმა ყეფა ატეხეს და მალე გაუჩინარდნენ. ვაჟა მიდამოს ზვერავდა და ეუცრად შენიშნა მისკენ მომავალი დათვი. მხეცი ერთობ ახლოს იყო, თითქოს ალარაფრის მოფიქრება ალარ შეიძლებოდა, მაგრამ მამაცი მონადირე არ დაიბნა და საფანტით დატენილი თოფით შეეება მხეცს. ორივე ლულიდან იქნა თოფმა. თავში დაჭრილი დათვი ბუჩქებში ჩაიკეცა.

თითქოს მონადირე ხიფათს გადარჩა, მაგრამ ბუნაგიდან ახლა მეორე დათვი დაიძრა. გაბედულმა მონადირემ სწრაფად მოასწრო თოფის დატენვა. ორჯერ გავარდა თოფი და მეორე დათვიც სიცოცხლეს გამოესალმა.

მონადირეც ასეთი უნდაო, — ამბობენ ვაჟას თანასოფლელები.

ფარას მგელი შეეჩვია...

თელავი. (საკ. კორ.). ზამთრის დღეებში სოფელ ჯურღელაურის კოლმეურნეობის წევრთა პირად ცხვრის ფარას მგელი შეეჩვია. იშვიათი იყო დღე, მგელს რომ ცხვარი არ მოეტაცნა. ბევრჯერ ჩაუსაფრდნენ მწყემსები, მათ არა ერთი ღამე გატეხეს უძილოდ, მაგრამ დაგვიანია ნადირი მაინც ასერხებდა ფარეხში შეღწევას და ცხვარს იტაცებდა. ხარალმა იმატა.

ეს ამბავი გამოცდილმა მონადირემ, რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელმა ქოთილა ბოგოჭურმა შეიტყო. მან კარგად დაზვერა მიდამო, ნადირის კვალს მიაგნო, ჩაუსაფრდა და ერთი გასროლით მტაცებელი ფარას მოაშორა.

ფალავნობენ

ბოლოდროინდელ ფოტოებიდან

ფოტოფელეტონები

დაგორდა მანქანა...

ეს ამბავი პარასკევს მოხდა, ის-ის იყო პიკის საათები იწყებოდა. თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სატვირთო ავტომანქანა ლენინის რაიონში ლეჩხუმის ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის წინ იდგა. მძღოლ რამაზ ლევანის-ძე კურტანიძეს მანქანა უპატრონოდ მიეტოვებინა და სადღაც წასულიყო. მუშები ი. შერემეტიევი და ი. პარაშუტკა მანქანის ძარაზე ასულიყვნენ, აგურსა და რკინაბეტონის სამშენებლო მასალას ცლიდნენ, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკოსი ალ. ტეტუნაშვილი საჭეს მიუჯდა, უნდოდა რამდენიმე მეტრით დაეგორებინა ავტომანქანა, რომ გადმოსცლელად უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო. მან, მართალია, ადგილიდან დაძრა მანქანა, მაგრამ გაჩერება ვეღარ მოახერხა. ავტომანქანამ დაქანებულ ლეჩხუმის ქუჩაზე თანდათანობით მოუმატა სიჩქარეს და შურდულივით გავარდა.

შეიქმნა ყვირილი. ძარიდან გადმოხტომა მარტო ი. პარაშუტკამ მოასწრო. ავტომანქანა ტვირთიანად დაახლოებით ათ ტონამდე სიმძიმისა იყო, დაღმართზე ელვასავით მიჰქროდა და ა. თოფურიძის ქუჩაზე მიმავალ სატვირთო მანქანას შეასკდა. შემდეგ ორივე ავტომანქანა ოქტომბრის ქუჩაზე სხვა მანქანებს დაეჯახა — ერთი საქართველოს რესპუბლიკური სახელმწიფო ბანკის „ვოლგას“, ხოლო მეორე — გარდაბნის რაიონის მევენახეობის ტრესტის „მოსკვიჩს“, რომელსაც ინჟინერ-ტექნოლოგი ელ. ბარნაბიშვილი მართავდა.

სახელმწიფო ბანკის „ვოლგას“ მართავდა მძღოლი ჯ. ამაშუკელი. შიგ ისხდნენ ინკასატორები ი. გოგლიძე და ვლ. ბოლოთაშვილი, რომლებიც მძიმედ დაშავდნენ და საავადმყოფოში მოათავსეს. საავადმყოფოში მოხვდნენ აგრეთვე ალ. ტეტუნაშვილი და ი. შერემეტიევი. მძიმედ დაშავებული ი. გოგლიძე გუშინ გარდაიცვალა.

აი რა გამოიწვია მძღოლ რ. კურტანიძის ერთი შეხედვით ამ უბრალო უყურადღებობამ. გარდაიცვალა ადამიანი, დაშავდა რამდენიმე კაცი. დამტვრეულ მანქანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ბანკის მანქანაში ინკასატორებს გადაჰქონდათ დიდძალი სახელმწიფო ფული და მილიციის თანამშრომლების — ლენინის რაიონის მილიციის უფროსის ტ. გრიგალაშვილის, ამავე რაიონის საპასპორტო მაგიდის უფროსის ც. დაუშვილის, ამავე რაიონის 1-ლი ქვეგანყოფილების მორიგის გ. დვალის, ქალაქში მომხდარი ავარიების შემოხვევათა მორიგის გ. აბოვიანის და ამავე სამორიგეოს მომკვლევის შ. ბაციკაძის მოსაზრებულობა და ოპერატიულობა რომ არა, ვინ იცის იმოდენა სახელმწიფო ფული ვის ხელში აღმოჩნდებოდა.

ბ. ახალაძე.

ძღოლები ყალბი მონიშნებით...

ძურღობა, თაღლითობა, ავტომანქანის გატაცება შავ ლაქებად აღბეჭდილია არუთინ ხედრაკის-ძე ოგანესოვის ბიოგრაფიაში. ამ დანაშაულობებისათვის იგი სამჯერ იყო პატიმრობაში.

მაგრამ არ იქნა და ჭკუა მაინც ვერ ისწავლა.

ბოლო დროს მან ავტომძღოლის ყალბი მოწმობების დამამზადებელი „საამქროც“ გახსნა, როგორც წესი, იგი ავტომანქანის მძღოლის თვითეული ყალბ მოწმობას ას მანეთად ჰყიდდა. ასეთი მოწმობები ა. ოგანესოვისაგან შეიძინა რამდენიმე კაცმა.

გ. ე. არუთინიანმა პირველი კლასის მოწმობა ხელით იგდო თუ არა, ქ. თბილისის პირველი მაისის დასუფთავების კანტორაში გამოცხადდა. იგი სამუშაოზე ისე სწრაფად მიიღეს, რომ მისი პირადი საქმითა არავინ დაინტერესებულა. მძღოლის ყალბი მოწმობებით შეიარაღდნენ აგრეთვე ვ. ი. ნამგალაშვილი, გ. ჯ. მამულაშვილი, მ. შ. აგაჯანოვი, მ. ს. მახმუდოვი და სხვები.

ა. ოგანესოვის მიერ მძღოლად „მონათლულნი“ თავისუფლად დაჯირითდნენ დედაქალაქში სახელმწიფო ავტომანქანებს. გასაგებია, როგორ დაიცავდნენ ისინი მოძრაობის წესებს.

თაღლით ა. ოგანესოვის „მოღვაწეობა“ მარცხით დამთავრდა. იგი შეიპყრეს პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა. სახალხო სასამართლომ ა. ოგანესოვს ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯა. სათანადოდ დისციპლინირებულ ყალბი დოკუმენტების მყიდველებიც.

მაგრამ აქ წერტილის დასმა არ შეიძლება.

საკითხავია: რატომ არ იჩენდნენ საჭირო სიფხიზლესა და სიფრთხილეს პირველი მაისის დასუფთავების კანტორის ხელმძღვანელები, რომ სამუშაოდ იღებდნენ ასეთ ავტომძღოლს?

ა. სხვაველი.

ტელევიზია

21 თებერვალი

10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის, „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინონარკვევი, 11.20 — ციკლიდან „დიდიე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ — ხაშრის რაიონი (განმეორებით) ,12.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ფრანგული ფერწერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. „ბუნების კარი“, 2. მხატვრული ფილმი „ჰაიდუკების შურისძიება“, 16.20 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 17.00 — „სოფლის მშრომელები XXIV ყრილობას“ — ბელორუსიის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან, 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.25 — „ქალაქი სოფელს“, 18.45 — მსოფლიო დღეს, 19.05 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.05 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ — ჯავის რაიონი, 20.55 — კინონარკვევი, 21.05 — „მანვიხლავთ დირექტივების პროექტს“, 21.25 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან, 22.15 — კინონარკვევი, 22.25 — მოამბე — საინფორმაციო პროგრამა, 22.35 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ — აჭარის ზონა.

22 თებერვალი

17.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.30 — ციკლიდან „დიადი წლების ქრონიკა — 1954 წელი, 18.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კინონარკვევი „ასე ხვდებიან მეგობრებს“, 19.00 — „საქართველოში სოციალისტური მიწათმოქმედების 50 წელი“, 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კინონარკვევი „იქნება ფილმი“, 19.35 — კონცერტი „ეს იყო ოცი წლის წინ“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — გადაცემა „ჩვენი ახალგაზრდობა და ჩვენი დედაენა“, 21.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინონობიექტივი“.

თეატრები

21 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქედუხრელნი (დღისით), აბესალომ და ეთერი (პრემიერა. საღამოს); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სალამურა (დღისით), ანტიგონე (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი**—ხიდი (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური**—ფეოლა (დღისით), მთვარის მოტაცება (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — გაბზარული ფარფატა (დღისით), სოლეა (საღამოს); **ფილარმონიის საზამთრო** — მინიატიურების თეატრი „ენკი-ბენკი“, „ცხრა მუშკეტერი და ხუთი მხარტანიანები“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (№ 56 აბონ. დილის 10 ს., 1 საათზე უაბონ.), დონ სეზარ დე ბაზანი (№ 36 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ჩვენ

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 08461

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.